

SPECIAL SYNTACTIC CONSTRUCTIONS EXPRESSING SUBJECTIVE-MODAL
MEANINGSსუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობათა გამომხატველი სპეციალური სინტაქსური
კონსტრუქციები**Marika Sherazadishvili**Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st. №53, 1400, Georgia
marika51marika@gmail.com
<https://orcid.org/0009-0005-8109-5236>**Neli Champuridze**Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st. №53, 1400, Georgia
nelichampuridze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-7280-5188>

Abstract. The term modality can be interpreted in different ways. Generally it embraces grammatical, lexical, intonational means that express either the speaker's attitude towards the utterance or the reference of the utterance towards the reality.

Subjective modality, i.e. the speaker's attitude towards the utterance can be expressed by various linguistic means- intonation, syntactic constructions, word order, repetition parentheticals, particles, interjections and by their multiple combinations. At the same time there are used various fixed assets in this combination.

The fixed assets or their combinations can be used in the similar sentences. There are no strict grammar rules as difference of fixed assets in the combination are available. The circle of subjective

modality is quite large, and these fixed assets which are expressly coloured can not be always defined.

Keywords: Modality, subjective modality, word order, syntactic constructions.

მარიკა შერაზადიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
გორი, ჭავჭავაძის №53, 1400, საქართველო
marika51marika@gmail.com
<https://orcid.org/0009-0005-8109-5236>

ნელი ჭამპურიძე

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
გორი, ჭავჭავაძის №53, 1400, საქართველო
nelichampuridze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-7280-5188>

აბსტრაქტი. ტერმინი „მოდალობა“ ენათმეცნიერებაში არაერთმნიშვნელოვანია. ამ ტერმინით აღინიშნება ის მოვლენები, რომლებიც გრამატიკულად, ლექსიკურად, ინტონაციურად გამოხატავენ მთქმელის მიმართებას გამონათქვამისადმი, ან გამონათქვამისას – სინამდვილისადმი.

სუბიექტური მოდალობა, ე.ი. მთქმელის მიმართება გამონათქვამისადმი შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი: მთქმელი შეიძლება არანაირად არ გამოხატავდეს თავის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. მაგრამ ძალიან ხშირად ასეთი მიმართება სახეზეა, იგი შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით – ინტონაციით, სპეციალური სინტაქსური კონსტრუქციებით, სიტყვათწყობით, სიტყვათა გამეორებით, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვით ნაწილაკებთან ერთად, შორისდებულებით, ჩართული სიტყვა-გამოთქმებით, ასევე ამ საშუალებათა მრავალფეროვანი კომბინაციით. ეს საშუალებები ან მათი კომბინაციები შეიძლება ერთსა და იმავე წინადადებაში ერთად შეგვხვდეს. არ არსებობს მკაცრი გრამატიკული წესები – შესაძლებელია საშუალებათა მრავალგვარი კომბინაცია.

სუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობათა წრე ძალიან ფართოა და თვით ეს მნიშვნელობები, თითქმის ყოველთვის ექსპრესიულად შეფერილები, ყოველთვის არ შეგვიძლია განვსაზღვროთ.

საკვანძო სიტყვები: მოდალობა, სუბიექტური მოდალობა, სიტყვათწყობა, სინტაქსური კონსტრუქციები.

შესავალი. ერთი და იგივე სინამდვილე მთქმელის მიერ შეიძლება სხვადასხვა მხრიდან იქნეს წარმოდგენილი – იწვევდეს სხვადასხვა შეფასებას, სხვადასხვაგვარ ემოციურ დამოკიდებულებას. ის შეიძლება შეეთანხმოს ან დაუპირისპირდეს რაღაცას; ნათქვამის ცალკეული ნაწილები შეიძლება ხაზგასმით გამოიყოს. მაგალითად, წინადადებისადმი – **წვიმს** შეიძლება იყოს სულ სხვადასხვა დამოკიდებულება: მთქმელი შეიძლება იყოს, ან არ იყოს დარწმუნებული ნათქვამის ჭეშმარიტებაში; შეიძლება ეძებდეს ამ ინფორმაციის წყაროს; აზრობრივად უდარებდეს ამ ცნობას სხვა მოვლენას. მაგ., წვიმს! განა წვიმს (მხოლოდ ჟინჟლავს), ან წვიმს განა? წვიმსო? წვიმაცა და წვიმაც (ეს რა წვიმაა!), წვიმს არა! აი წვიმა!

შეფასებით-დამახასიათებელ მნიშვნელობებს განეკუთვნება ის მნიშვნელობები, რომლებიც გამოხატავენ სუბიექტურ დამოკიდებულებას ნათქვამისადმი ისეთ დახასიათებასთან ერთად, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს არასუბიექტურად, ფაქტიდან, მოვლენიდან, ხასიათიდან გამომდინარედ. თავის მხრიდან, გამონათქვამი შეიძლება დახასიათდეს გამოხატვის სისრულის ან არასრულობის მიხედვით, მოსალოდნელი შედეგის მიღება-მიუღებლობის მიხედვით, მოთხოვნისადმი შესაბამისობა-შეუსაბამობის მიხედვით, დროულობა-უდროობის მიხედვით და ა. შ. დროში განვითარების მიხედვით ნათქვამი შეიძლება დახასიათდეს რეგულარობა-არარეგულარობის, ეპიზოდურობის, უწყვეტლობის მიხედვით. მაგალითად, წინადადებაში **აი წვიმა!** სუბიექტური შეფასება შეერთებულია ინტენსიურობის დახასიათებასთან. წინადადებაში **წვიმს, რას წვიმს!** მოვლენის, როგორც უსასრულოდ გაგრძელებულის დახასიათება შეერთებულია მთქმელის სუბიექტურ შეფასებასთან – უკმაყოფილებასთან. წინადადებაში **წვიმს არა!** (წავიდეთ!) მთქმელის აზრით, მოვლენა გავლენას არ ახდენს სხვა ფაქტზე, სიტუაციაზე და ერთდროულად უპირისპირდება ამ სხვა სიტუაციას.

საკუთრივ-შეფასებითი მნიშვნელობები მთლიანად განეკუთვნება სუბიექტური მოდალობის სფეროს. ეს არის სხვადასხვა მნიშვნელობები, რომლებიც შეიცავენ მთქმელის პირად, სუბიექტურ დამოკიდებულებას გამონათქვამის შინაარსისადმი: თანხმობა-უთანხმობას, მიღება-მიუღებლობას (კატეგორიულს ან შერბილებულს), დადებით ან უარყოფით შეფასებას (კმაყოფილება, უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე, მოწონება ან დაწუნება, გაკიცხვა); ნება-სურვილის სხვადასხვაგვარ გამოხატვას (გადაწყვეტილება, მოწოდება, წაქეზება, გაფრთხილება, მუქარა); გაცემას, გაუგებრობას; რაღაცის გამოყოფას, მასზე აქცენტის გაკეთების სურვილს.

საკუთრივ-შეფასებითი მნიშვნელობები შეიძლება ახლდეს ყველა იმ მნიშვნელობას, რომელსაც ზემოთ შეფასებით-დამახასიათებელი ვუწოდეთ. ამიტომ ამ მნიშვნელობათა დაპირისპირება რამდენადმე პირობითია. მათ ყველას ერთად „სუბიექტური მოდალობა“ ჰქვია.

მეთოდები: შედარებით-ტიპოლოგიური.

შედეგები და მსჯელობა. ქართულ ენაში არსებობს ნაწილაკთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ წინადადებაში გამოხატოს სხვადასხვა სუბიექტურ-მოდალური ელფერი. ეს მოდალური ნაწილაკებია. მოდალური ნაწილაკები გამოხატავენ მთქმელის ნება-სურვილს, ან მის დამოკიდებულებას ნათქვამის შინაარსისადმი. ამ ჯგუფს განეკუთვნება: კითხვითი, უკუთქმითი, მიგებითი, სიტყვასიტყვითი, ნება-სურვილის, შესაძლებლობა-ვარაუდის, უნახაობისა და მრავალგზისობის გამომხატველი ნაწილაკები.

სუბიექტური დამოკიდებულება, მინიშნება ამა თუ იმ რეაქციაზე, შეფასება მოდალურ ნაწილაკებში გამოხატულია ყოველთვის. დამოკიდებულების ეს ელემენტი მეტნაკლებად სხვა ნაწილაკებშიც გვხვდება. ძირითადად ესენია კითხვითი და ფორმათწარმომქმნელი ნაწილაკები. შევადაროთ ერთმანეთს ნაწილაკები **დაე** და **უნდა**. **დაე**, იშრიალონ ტყეებმა! / **უნდა** იშრიალონ ტყეებმა! პირველ შემთხვევაში **დაე** ნაწილაკი გამოხატავს სურვილს, მოწოდებას, მეორე შემთხვევაში **უნდა** ნაწილაკი გამოხატავს კატეგორიულობას.

მოდალური შეფერილობა შეიძლება ჰქონდეთ აგრეთვე ნაწილაკ-კავშირებს, ნაწილაკ-ზმნიზედებს.

ძირითადად მოდალური ნაწილაკები ერთიანდებიან შემდეგ ჯგუფებად:

1. ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ მთქმელის უშუალო რეაქციას;
2. ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკები;

3. ნაწილაკები, რომლებიც ადგენენ კავშირ-ურთიერთობას გამონათქვამსა და მის წყაროს შორის, გამონათქვამის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ხშირია შემთხვევები, როცა ერთ ნაწილაკში ერთიან-დება სხვადასხვა მნიშვნელობები.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის ნაწილაკები, რომლებიც ხაზს უსვამენ (აძლიერებენ) გამონათქვამს ან მის რომელიმე ნაწილს; იძლევიან ამა თუ იმ შეფასებას, დახასიათებას; გამოხატავენ თანხმობას ან უარყოფას; გაფრთხილებას, მუქარას, შიშს, შეთავაზებას, ეჭვს, დაურწმუნებლობას, გაურკვევლობას, გაოცებას, დარწმუნებულობას და ა. შ.

ასეთია ნაწილაკები და ნაწილაკური გამოთქმები: **აი, ხომ, და, კი არ, სწორედ, ოღონდ, აბა, მართო, თორემ, კარგი, ნახე, ვინძლო, მიდი, განა, თითქოს, მერე რა რომ, კინაღამ, კინაღამ არ, ვაითუ, როგორ არა, რა ვქნა.**

1. ოთხმოცს მიღწეული ბებოჩემის მხნეობა **ხომ** საუკეთესო მაგალითი იყო ჩემთვის (რჩ., 18)

გამოხატავს მოწონებას, იძლევა დადებით შეფასებას;

2. _ ამ თქვენს ჭადარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები გასცვენია?

_ როგორ თუ რა დამართნია?!.. რაღა დროს ფოთლებია?

_ **ვაითუ** გახმეს უფოთლოდ? (აკაკი, 365)

გამოხატავს დაეჭვებას, ახლოს მდგომს სინამდვილესთან;

3. შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირებს ამოსვლას?

_ **როგორ არა, როგორ არა**, საახალწლოდ უსათუოდ ამოვა, პირობა მომცა (ვაჟა, 67)

გამოხატავს დარწმუნებას, დადებით პასუხს;

4. **ბიჭო და...** არა გრცხვენია, შე ოტროველავ! მართლა გგონია, ბნელო კაცო, რომ შენს ბადეში ნინუცა ებმევა? (ლეონ., 154).

გამოხატავს შერცხვენას, საქციელის დაწუნებას;

მეორე ჯგუფს ეკუთვნის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ ნება-სურვილს: მოწოდებას თანხმობისაკენ; თხოვნას, მისცეს რა-ღაცის გაკეთების საშუალება; გადაწყვეტილებას. ასეთია ნაწილაკები: **მოდი, მოდით, მიდი** (სასაუბრო).

1. **მოდი** ვნახოთ ვენახი;

2. **მოდით** დაველოდოთ პასუხს;

3. აბა **მოდით** და წარმოიდგინე... (დოჩ., 97).

მესამე ჯგუფს განეკუთვნება ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ წინმსწრები მდგომარეობის დასრულებას: მოსალოდნელისადმი შესაბამისობა-შეუსაბამობას; რაღაცის უპირატესობას სხვის წინაშე; ერთადერთობას, დაპირისპირებულობას; განპირობებულობა-განუპირობებულობას; გამონათქვამის დამოკიდებულებას მის წყაროსთან.

ასეთია ნაწილაკები: **ესეც შენ, იცოდე, თუმცა, თითქოს, ნუთუ, და აი.**

1. **ესეც შენ(ი)** აღთქმული მიწა!

გამოხატულია მოსალოდნელთან შეუსაბამობა, იმედგაცრუება;

2. **ნუთუ** მაინც ვერ გაიხსენე?

გამოხატულია წინმსწრები მდგომარეობის გაგრძელება;

3. დროზე ადრე მოვრჩი **და აი** მოვედი

გამოხატულია განპირობებულობა.

მოდალურია აგრეთვე ნაწილაკები, რომლებიც დიალოგში დამადასტურებელი ან უარყოფელი რეპლიკის ფუნქციას ასრულებენ. ესენია ნაწილაკები: **ჰო, კი, დიახ, არა, ვერა.** აგრეთვე _ **არის, სწორედ, ასე, ამგვარად, ნამდვილად, ზუსტად, აი, როგორც არის, რა ვქნა, კარგი, მოდის** (სასაუბრო).

ზოგიერთ ნაწილაკს, კომუნიკაციური მიზანდასახულობის გათვალისწინებით, შეუძლია როგორც დადასტურება, ისე უარყოფა.

_ ვენახს უვლის?- **როგორ არა!**

პასუხი შეიძლება მოვიაზროთ, როგორც დადასტურება, ან როგორც უარყოფა: „რა თქმა უნდა, უვლის" ან „სულაც არ უვლის". აქ მნიშვნელობა ენიჭება ინტონაციას, კონკრეტულ სიტუაციას.

დიალოგში რეპლიკის ფუნქციით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ უშუალო რეაქციას მოსაუბრის სიტყვებზე:

– კარგი ამინდია.

– თითქოს.

გამოხატულია თანხმობა, რომელსაც ეჭვი ახლავს;

– ამას აღარ გავიმეორებ.

– ასე, ასე.

გამოხატულია თანხმობა, გაფრთხილება, კმაყოფილება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრ მოდალურ ნაწილას რამდენიმე მნიშვნელობის გამოხატვის უნარი აქვს.

აი ნაწილაკმა შეიძლება გამოხატოს ხაზგასმა, აქცენტირება: აი თქვენ გიხარიათ, ჩვენ კი არა.

და დ ე ბ ი თ ი შე ფ ა ს ე ბ ა – **აი** თოვლი!

და ნ ა ნ ე ბ – მ უ ქ ა რ ა – **აი**, მკვდარი არა ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი იმათ! (ილია, 185).

მ ო წ ო ნ ე ბ ა – **აი**, შენი კვნესა-მე, შენი, აბა ეგ არის სიტყვა, **აი**!

(ყაზბ., 145).

წ ა ქ ე ზ ე ბ ა – მითხარი მართალი, დაფი: ბონდო მოგწონს თუ არა? შენი მოყვარული ქალბატონისათვის, აბა, რა დაგიმაღლავს, რომ ეს დაუმალო!.. გულზე ხელი დაიფარე... **აი** ასე... (ქიაჩ., 185).

რა ნაწილაკმა შეიძლება გამოხატოს თ ხ ო ვ ნ ა:

გავუშვათ, **რა**, დიდედ, იადონები, გავუშვათ **რა**! (ელიოზ., 320).

უკმაყოფილება, იმედგაცრუება:

– დაისვენე?

– **რა** დავისვენე!

ბევრი ნაწილაკი თავისი მნიშვნელობითა და სინტაქსური ფუნქციით მკვეთრად არ უპირისპირდება სხვა კლასის სიტყვებს – კავშირებს, ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს, შორისდებულებს, ზმნიზედებს. ისინი ითავსებენ ნაწილაკისა და ამ სიტყვის მნიშვნელობას. ამის შე-საბამისად, შეიძლება გვექონდეს ნაწილაკი-კავშირი, ნაწილაკი-ზმნიზედა, ნაწილაკი-შორისდებული და ნაწილაკი-ჩართული სიტყვა.

არ მომკვდარა, **მხოლოდ** სძინავს.

მხოლოდ ასრულებს კავშირის ფუნქციას დაპირისპირების დროს.

ნაწილაკები **დე**, **დაე**, **კი**, **მაინც** თავისი მნიშვნელობით უახლოვდებიან კავშირებს და გამოხატავენ დათმობას, დაპირისპირებას.

რადაც რეჩხი კი მიყო გულმა, **მაინც** მშვიდად მივუგე... (დოჩ., 84)

გამოხატულია დათმობა;

ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, – ეს რადა ჰღირს! ტყუილუბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?! **დეე** ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო (ილია, 228).

დეე ნაწილაკით გამოხატულია დაპირისპირება.

სიტყვაში **აგერ** თავსდება ზმნიზედისა და ნაწილაკის მნიშვნელობები.

აგერ, წმიდა ესტატე, ჩრდილოთ – წმიდა გიორგი!... **აგერ**, დაბალში, კონცხზე – ღვთიშობელი (ლეონ., 117).

აქ **აგერ** ზმნიზედაა, მაგრამ ნაწილაკია იგი წინადადებაში – **აგერ** უარესი სისულელე! (რჩ., 42).

სიტყვაში აი თავსდება ნაცვალსახელისა და ნაწილაკის მიშვნელობები: აი ბეკინა სამანიშვილი / აი და ბეკინა! აი და შენი ჭირიმე!

არის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ ექსპრესიულ შეფასებას, ემოციურ დამოკიდებულებას და ამით ახლოს დგანან შორისდებულთან. სხვა შემთხვევაში შეიძლება შორისდებულმა მოიპოვოს მოდალური ნაწილაკის მნიშვნელობა.

აბა, მაშინ კაი ბიჭები ვიყავით, როცა დიდ ომებში ჩვენი გვარის მედგარი ძახილი ისმოდა (ლეონ., 46).

აქ **აბა** შორისდებულია, მაგრამ ნაწილაკია წინადადებაში: აბა რაი დაგიმალო, ვინ იცის, რამდენს მთას იქით მივდივარ (ყაზბ., I, 93).

აქ კი **აბა** დადებითი რეპლიკის ფუნქციითაა:

– თოკი მოცურდა კლდეზე, – ოდნავი ღიმილით თქვა ჯემალმა.

– **აბა**, კაცო... – ვაჟამ ხელები დაანახვა (რჩ., 53).

როგორც სხვადასხვა სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობების გამოხატველნი, მოდალური ნაწილაკები (და კონსტრუქციები, შედგენილი ამ ნაწილაკთა მონაწილეობით) შეიძლება დავყოთ ჯგუფებად.

სუბიექტურ-მოდალური ნაწილაკების შემცველ წინადადებაში შეიძლება გამოიყოს მნიშვნელობები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალო ემოციურ რეაქციებთან ან ნების ამა თუ იმ გამოვლინებასთან.

1. ნათქვამზე უშუალო ემოციური რეაქციების გამოხატვის სფეროს განეკუთვნება ემოციურად შეფერილი ხ ა ზ გ ა ს მ ა, გ ა მ ლ ი ე რ ე ბ ა: მიპასუხე-მეთქი! აბა მიპასუხე! ნახა რა სალაპარაკო! უბრალოდ გაუგებარია! პირდაპირ საოცარია!

დ ა დ ე ბ ი თ ი ა ნ უ ა რ ყ ო ფ ი თ ი შ ე ფ ა ს ე ბ ა, გ ა ო ც ე ბ ა: ენდე ახლა ამას! ოჰ, ეს მეზობლები! ესეც შენი დღესასწაული!

გ ა კ ი ც ხ ვ ა, დ ა ნ ა ნ ე ბ ა, ხ ა ზ გ ა ს მ უ ლ ი უ ა რ ყ ო ფ ა: მოგეხმარა? – რა მომეხმარა!

რ ა ღ ა ც ი ს დ ა შ ვ ე ბ ა: ვინმე თუ დაეხმარება; დადამება თუ უშველის.

ე ჭ ვ ი, გ ა უ რ კ ვ ე ვ ლ ო ბ ა: რა, ჭექა-ქუხილს აპირებს? დავიღალე რაღაც; შენ რა, ავად ხარ?

დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა: ვითომ არ იცი; თითქოს არ ვხედავდე.

მ ი ა ხ ლ ო ე ბ ი თ ო ბ ა: იქნება ასე თვრამეტი წლის.

ა რ ც თ უ ს ა ს უ რ ვ ე ლ ი, მ ა გ რ ა მ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი: რამეში მაინც გამოგადგება.

შ ე ფ ა ს ე ბ ა დ ა გ ა მ ლ ი ე რ ე ბ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა: გულები დაგვიხეთქე კია და! დაგიჯერეთ, როგორ არა!

2. ნების ამა თუ იმ გამოვლინების გამოხატვის სფეროს განეკუთვნებიან სუბიექტურ-მოდალური ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ მ ო წ ო დ ე ბ ა ს თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს ა კ ე ნ, მ ო ლ ო დ ი ნ ი ს ა კ- ე ნ; თ ხ ო ვ ნ ა ს, მ ი ს ც ე რ ა ღ ა ც ი ს გ ა კ ე თ ე ბ ი ს შ ე ს ა მ ლ ე ბ ლ ო- ბ ა:

მოდო მომიცადე, ერთად წავიდეთ!

შენ ნუ (წახვალ), მოდი მე წავალ!

მ ო უ ლ ო დ ე ლ ო ბ ა ს, მ ო უ მ ზ ა დ ე ბ ლ ო ბ ა ს: გავიხედე და მოვიდა!

ჭ ე მ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ა ს: სწორედ შერეკილია, შერეკილია რა.

ე რ თ ი ს უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ს მ ე ო რ ი ს წ ი ნ ა შ ე: მე, უმჯობესია, წავიდე; ჯობს, არ იჩხუბო.

წ ი ნ ა თ თ ქ მ უ ლ ი ს დ ა ს რ უ ლ ე ბ ა ს: დამნაშავე მაინც ვერ იპოვეს (ე. ი. ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს); მაინც ვერ დაითანხმეს (ე. ი. არ თანხმდებოდა და არც დათანხმდა).

მოსალოდნელთან შეუსაბამობას: დააშავა და კიდევაც იცინის (ე. ი. არ უნდა იცინოდეს).

ე რ თ ა დ ე რ თ ო ბ ა ს, გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ო ბ ა ს: სულ შენი ბრალია; მარტო მე ვიცი.

დასაშვებთან შეუსაბამოა: ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო (ე. ი. ბავშვმა არ უნდა იცოდეს, მაგრამ იცის).

მიგვითითებს ნათქვამის წყაროზე (არც მთლად დარწმუნებით) ნაწილაკი თითქოს: მან **თითქოს** არაფერი იცოდა; ის თითქოს არ არის დამნაშავე (ვიღაც ან თვითონ ამბობს, თვლის, ამტკიცებს, ვითომ არ უნდა იყოს დამნაშავე).

დროსთან მიმართებაში ის, რაზედაც ლაპარაკია, შეიძლება კვალიფიცირდებოდეს როგორც მახლობელი, უშუალოდ შესრულებასთან ახლოს მყოფი (ძირითადად არასასურველი):

ნახავ მოვა; კინალამ (არ) წაიქცა.

ეპიზოდური: მას, ხდება ხოლმე, ავიწყდება დანაპირები; არა-არა და მზე გამოიხედავს ღრუბლებიდან.

შორეული და განმეორებული მოგონება: წვიმდა ხოლმე, ის კი მაინც მოდიოდა.

სუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობათა გადმოსაცემად სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციები გამოიყენება. ესენია, პირველ რიგში, მრავალფეროვანი სინტაქსური ფრაზეოლოგიზმები, ე. ი. სიტყვათა ისეთი წყობა, სადაც შესუსტებულია ან დაკარგულია იმ კომპონენტთა გრამატიკული თუ პირდაპირი ლექსიკური მნიშვნელობა, რომლებთანაც დაკავშირებულია სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობების გამოხატვა.

არ გინდა ასეთი რამ დაგატყდეს თავს!

არ გინდა მაინცდამაინც მაშინ მოვიდეს!

ამ წინადადებებში გამოხატულია რაღაცით უკმაყოფილება, დანაწება უდროო დროს მომხდარის გამო. აქ სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობა დაკავშირებულია **არ გინდასთან**, რომლის პირდაპირი ლექსიკური მნიშვნელობა დაკარგულია.

შეიძლება შეგვხვდეს სიტყვათწყობები “დიახ” და “არა” ნაწილაკებითაც: ვკამათობდით _ დიახ, მაგრამ არ ვჩხუბობდით; ცოდნა აქვს, გამოცდილება _ არა, ეს ცოტაა. მე ხომ გელოდი, არა? აქ აქცენტი გადატანილია დაპირისპირება-შედარებაზე.

შეიძლება შეგვხვდეს შერბილებული, შესუსტებული უარყოფა: დარია _ არც დარია, ავდარია _ არც ავდარია.

ზოგჯერ შეიძლება გამოხატული იყოს მიზეზისადმი ერთგვარი არაარსებითი, გულგრილი დამოკიდებულება:

გინდა არ გინდა, მაინც წამოდი; გეძინა არ გეძინა _ ადექი.

შეიძლება წარმოდგენილი იყოს უარყოფითი შეფასება, ერთგვარი ირონიული დამოკიდებულება ნათქვამისადმი:

წადი და ენდე ახლა ამისთანა კაცს!

აქ წადი-ს პირდაპირი ლექსიკური მნიშვნელობა შესუსტებულია ან სულაც დაკარგულია. იგი ნაწილაკია.

ავდგები და სულაც აღარ გავაკეთებ!

აქ ავდგები-ს დაკარგული აქვს ლექსიკური მნიშვნელობა, მისი დახმარებით გადმოიცემა გადაწყვეტილების მოულოდნელობა.

ენაში მოდალური ნაწილაკების ფუნქციით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზმნური ფორმები, ზმნიზედები, ზმნური და ზმნიზედური ფრაზეოლოგიური შენაერთები, რომლებიც, უკავშირდებიან რა წინადადების ამა თუ იმ წევრს ან მთელ წინადადებას, აძლევენ მას სუბიექტურ-მოდალურ ელფერს. ასეთ ფორმებსა და სიტყვათშენაერთებში მცირედ, მაგრამ მაინც, შემონახულია შესაბამისი სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა.

ზმნური ფორმები **იცოდე**, **იცი**, **ნახავ** წინადადებას გაფრთხილების, ზოგჯერ მუქარის ელფერს ანიჭებენ: იცოდე არ დააგვიანო; შენ იცი, არ დაგვივიწყო; გააკეთე, თორემ ნახავ, რაც მოგივა!

ზმნური ფორმები **შეხეთ, დამიხედეთ** გამოხატავს ირონიულ დამოკიდებულებას არსებულსა და გადმოცემულს შორის შეუსაბამობის გამო: დამიხედეთ, ამასაც კი სდომებია იუბკა!

ზმნური ფორმა **ჩათვალე** მნიშვნელობით უახლოვდება ფორმას თითქმის და ჭეშმარიტებასთან მიახლოებას გვიჩვენებს: ჩათვალე, მეგობრები ვართ; ჩათვალე, საქმე მოგვარებულია.

ვერ ვიტყვი გამოხატავს დაეჭვებას, დაურწმუნებლობას: ვერ ვიტყვი, რომ საქმე კარგად მიდიოდა.

კარგი სასაუბრო მეტყველებაში ან ზმნიზედური წარმონაქმნი **კიდევ კარგი** გამოიყენება მოდალური ნაწილაკის მნიშვნელობით და გამოხატავს კმაყოფილებას იმის გამო, რაც მოხდა (ხდება, მოხდება) ან შეიძლება მომხდარიყო:

კარგი რომ გადარჩა, რომ მომკვდარიყო?

კიდევ კარგი იქ დაგხვდა.

კიდევ კარგი იქ დაგხვდათ, თორემ (რომ) არ დაგხვედროდათ, ნახავდით სეირს.

კიდევ კარგი იქ დაგხვდათ, რომ არ დაგხვედროდათ, მაშინ ნახავდით სეირს.

კიდევ კარგი იქ დაგხვდათ და არა სხვაგან.

დასკვნები. ამრიგად, სუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობათა გამოსახატავად გამოყენებული ენობრივი საშუალებები: სპეციალური სინტაქსური კონსტრუქციები, სიტყვაწარმოება, გამეორება, ნაწილაკები, შორისდებული, ჩართული სიტყვები, ინტონაცია - შეიძლება ერთი წინადადების ფარგლებში ერთად შეგვხვდეს. ამ შემთხვევისათვის არ არსებობს მკაცრი გრამატიკული წესები, შესაძლებელია ენობრივ საშუალებათა მრავალგვარი კომბინაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

დავითიანი, ა. (1973). *ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.

კვანტალიანი, ლ. (1990). *ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები*. თბილისი.

კვაჭაძე, ლ. (1977). *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.

სახოკია, თ. (1979). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი.

წყარო:

დოჩანაშვილი, გ. (1984). *ორი მოთხრობა*. თბილისი.

ელიოზიშვილი, მ. (1982). *პიესები და კინოსცენარები*. თბილისი.

ვაჟა-ფშაველა. (1990). *პოემები*. თბილისი.

ლეონიძე, გ. (1993). *ნატერის ხე*. თბილისი.

რჩეულიშვილი, გ. (1965). *მოთხრობები, პიესა*. თბილისი.

ქიაჩელი, ლ. (1985). *თხზულებანი ოთხ ტომად*. II. თბილისი.

ყაზბეგი, ა. (1962). *თხზულებანი ორ ტომად*. I. თბილისი.

წერეთელი, ა. (1991). *ერთობა ჩვენთვის ტახტია*. თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (1985). *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად*. თბილისი.

REFERENCES

davitiani, a. (1973). *kartuli enis sint'aksi [Syntax of the Georgian language]*. Tbilisi.

- k'vant'aliani, l. (1990). *kartuli zep'iri met'qvelebis sint'aksis sak'itkhebi* [Syntax issues of Georgian oral speech]. Tbilisi.
- k'vach'adze, l. (1977). *tanamedrove kartuli enis sint'aksi* [Syntax of the modern Georgian language]. Tbilisi.
- sakhok'ia, t. (1979). *kartuli khat'ovani sit'qva-tkmani* [Georgian figurative words and sayings]. Tbilisi.

Scientific source

- dochanashvili, g. (1984). *ori motkhroba* [Two stories]. Tbilisi.
- eliozishvili, m. (1982). *p'iesebi da k'inostsenarebi* [Plays and screenplays]. Tbilisi.
- vazha-pshavela. (1990). *p'oemebi* [Poems]. Tbilisi.
- leonidze, g. (1993). *nat'vris khe* [Wish tree]. Tbilisi.
- rcheulishvili, g. (1965). *motkhrobebi, p'iesa* [Stories]. Tbilisi.
- kiacheli, l. (1985). *tkhzulebani otkh t'omad* [Works in four volumes]. II. Tbilisi.
- qazbegi, a. (1962). *tkhzulebani or t'omad* [Works in two volumes]. I. Tbilisi.
- ts'ereteli, a. (1991). *ertoba chventvis t'akht'ia* [Unity is a throne for us]. Tbilisi.
- ch'avch'avadze, i. (1985). *rcheuli nats'armoebebi khut t'omad* [Selected Works in Five Volumes]. Tbilisi.